

დევილთა ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა

განმახორციელებელი უწყება: სსიპ - დევილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო
წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

2020 წელი

სარჩევი

შესავალი	3
1. პროგრამის მიზანი	4
2. პროგრამის შედეგი.....	4
3. პროგრამის აღწერა	4
3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა	5
3.2. საგრანტო განაცხადის შემოწმება და განხილვა	6
3.2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები	7
3.2.2. შეფასების კრიტერიუმები	7
3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა	10
3.4. სამოქმედო გეგმა	11
3.5. პროგრამის გავრცელების არეალი.....	12
3.6. პროგრამის ხანგრძლივობა	12
4. პროგრამის ბიუჯეტი	12
5. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება	12

შესავალი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები (შემდგომში - დევნილი) მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ. დევნილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან განსახლებას და განსახლების ადგილზე მათ ინტეგრაციას სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გზით. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მათი უზრუნველყოფა საარსებო წყაროებით, რომელიც გულისხმობს „ადეკვატურ და მდგრად ხელმისაწვდომობას შემოსავლებზე და რესურსებზე საბაზისო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“.¹ საარსებო წყაროები მაშინ არის მდგრადი, როდესაც ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული საცხოვრებელ ადგილთან.

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის N1046 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდეგში - სამოქმედო გეგმა) საფუძველზე, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს „დევნილთა ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა).

¹ საქართველოს მთავრობის 20104 წლის 13 თებერვლის N257 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახებისათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია“.

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ, მოწყვლადი დევნილების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და მეორე მხრივ, სახელმწიფო დამოკიდებულებაზე მოწყვლადი დევნილების რაოდენობის ეტაპობრივი შემცირება.

პროგრამის კონკრეტული მიზნებია: მოწყვლადი დევნილების თვითდასაქმების/დასაქმების ხელშეწყობა მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერის გზით.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, მხარდაჭერილი იქნება 200 მოწყვლადი დევნილი.

3. პროგრამის აღწერა

პროგრამის ბიუჯეტის გათვალისწინებით, მოწყვლადი დევნილები, რომლებიც არიან სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულაა 65 001-დან 100 001-მდე მიიღებენ მხარდაჭერას გრანტის სახით ორი მიმართულებით:

1. სასოფლო-სამეურნეო ინიციატივები;
2. თვითდასაქმებაზე ორიენტირებული არასასოფლო-სამეურნეო ინიციატივები.

მხარდაჭერა გულისხმობს ტექნიკა/დანადგარების შეძენას არაუმეტეს 2 500 ლარის ფარგლებში. ამასთანავე, შესაძლებელია ერთი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი იქნეს არაუმეტეს 3 ნივთი და თითო ნივთის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 150 ლარი. ნაკრების შეძენა დასაშვებია, იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები მოიცავს ქარხნულად შეკრებილ ერთგვაროვან ნივთებს.

მხარდაჭერა შესაძლებელია როგორც საქმიანობის დამწყებთათვის, ასევე, უკვე არსებულის გაძლიერების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით.

პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება:

ა) ერთიდაიგივე ოჯახიდან² წარმოდგენილი რამდენიმე საგრანტო განაცხადი; ასევე, დევნილის მიერ წარმოდგენილი ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი (თუნდაც სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით);

ბ) განმცხადებელს ან მის ოჯახის წევრს სააგენტოს რომელიმე საგრანტო პროგრამის ან „დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში მიღებული აქვს იგივე ტექნიკა/დანადგარი, რომელიც წარმოდგენილი საგრანტო განაცხადით არის მოთხოვნილი.

გ) ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც არ გულისხმობს ტექნიკა/დანადგარების შეძენას.

3.1. საგრანტო განაცხადების წარმოდგენა

პროგრამის განხორციელების პროცესში, განისაზღვრება საგრანტო განაცხადების მიღების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ კვირაზე ნაკლები.

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა მოწყვლადმა დევნილმა უნდა შეავსოს პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგრანტო განაცხადი (**დანართი N1**) და თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოს სააგენტოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15 “ა“ ან შევსებული და დასკანერებული სახით გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: infoidp@moh.gov.ge .

სრულყოფილად შევსებული საგრანტო განაცხადისა და თანმდევი დოკუმენტაციის ჩაბარება შესაძლებელია სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებშიც შემდეგ მისამართებზე:

ქ. გორი, სამების ქუჩა N1;

ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა;

ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;

ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

² პროგრამის მიზნისთვის, ოჯახად მიიჩნევა პირთა წრე, რომელიც დაფიქსირებულია ამონაწერში სოციალურად დაუცველების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

ბ) საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში განახლებული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

გ) საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში გაცემული 1 ინვოისი, ყველა იმ ნივთზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია საგრანტო განაცხადით. ინვოისი უნდა მოიცავდეს ნივთის მოდელს და ღირებულებას.

საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ან/და საგრანტო განაცხადის შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნილი იქნება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

დაინტერესებულ დევნილს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ინდივიდუალური საგრანტო განაცხადი და მხოლოდ ერთი საქმიანობის მხარდასაჭერად.

3.2. საგრანტო განაცხადის შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტოს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

დეპარტამენტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას საგრანტო განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს დეპარტამენტი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით.

დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ

აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

3.2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ამოწმებს დეპარტამენტი:

1. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მათ შორის, საგრანტო განაცხადის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
2. განმცხადებელი არის დევნილის სტატუსის მქონე;
3. განმცხადებელი რეგისტრირებულია სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულაა 65 001 -დან 100 001-მდე;
4. საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი ტექნიკა/დანადგარების ღირებულება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯამურად შეესაბამება პროგრამით დადგენილ ზღვრებს.
5. განაცხადი არ ითვალისწინებს ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება.
6. წარმოდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება არ ეწინააღმდეგება გრანტის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობას.

3.2.2. შეფასების კრიტერიუმები

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს განმცხადებლების ადგილზე მონიტორინგს. მონიტორინგის ანგარიშის ფორმა თანდართულია პროგრამის **N2 დანართად**. მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, დეპარტამენტი წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს გადასცემს საგრანტო კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. ქულათა დადგენა ხორციელდება კომისიის თითოეული წევრის მიერ შეფასების ფორმაში მითითებული ქულებიდან საშუალო არითმეტიკული ქულის გამოყვანის გზით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 11.

საგრანტო განაცხადი ფასდება განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით.

საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	ქულა	განმარტება
გამოცდილება, ცოდნა და უნარი			
1	კომისიის წევრის შეფასებით, განმცხადებლის გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს გრანტის მიღების შემთხვევაში; ცოდნა და უნარი გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და წარმატებით საქმიანობისთვის	2	განმცხადებელს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის.
		1	განმცხადებელს არ აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს, თუმცა აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები გრანტის მიზნობრივად გამოყენების და საქმიანობის წარმართვისათვის.
			განმცხადებელს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს, თუმცა არ აქვს საკმარისი ცოდნა და უნარი საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის.
		0	განმცხადებელს არ აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; არ აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმართვისთვის.
შესაძენად მოთხოვნილი ტექნიკა/დანადგარების საჭიროება			
2	განმცხადებლის მიერ შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი ტექნიკა/დანადგარების საჭიროება საქმიანობის განსახორციელებლად	2	შესაძენად მოთხოვნილი ნივთები საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის. ასევე - შრომის შესამსუბუქებლად და შემოსავლის გაზრდისათვის.
		1	შესაძენად მოთხოვნილი ნივთები მეტნაკლებად საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის. ასევე, შედეგად მოჰყვება შემოსავლის გაუმჯობესება. შესაძენად მოთხოვნილი ნივთები მეტნაკლებად საჭიროა საქმიანობის განსახორციელებლად და/ან მისი განვითარებისთვის. განმცხადებელს შეუძლებელია შრომა და შესაძლოა შედეგად მოჰყვეს შემოსავლის გაუმჯობესება.

		0	შესაძენად მოთხოვნილი ნივთების გარეშე, შესაძლებელია საქმიანობის წარმართვა. მოცემულ მომენტში არ დგას მათი შეძენის აუცილებლობა. არ არის მოსალოდნელი დამატებითი შემოსავლის მიღების და/ან შრომის შემსუბუქების შესაძლებლობა.
	რისკები		
3	განმცხადებლის დამოკიდებულება საქმიანობისას შესაძლო რისკებთან და მათ შემცირების/აღმოფხვრის გზებთან დაკავშირებით	2	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკ(ებ)ი; იცის, როგორ მოახდინოს რისკების შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება.
		1	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკები, თუმცა არ აქვს ნაფიქრი, როგორ მოახდინოს მათი შემსუბუქება ან/და თავიდან აცილება.
		0	განმცხადებელს არ აქვს გააზრებული შესაძლო რისკები. შესაბამისად, არ აქვს ნაფიქრი მათ შემსუბუქებას ან/და თავიდან აცილებაზე.
	განხორციელებადობა		
4	საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული იდეას რეალურობა, განხორციელებადობა და გრანტის მიზნობრივად გამოყენება	2	განმცხადებელს კარგად აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა რეალურია და მაღალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა.
		1	განმცხადებელს მეტნაკლებად აქვს გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა მეტნაკლებად რეალურია და შესაძლოა გრანტის მიზნობრივად გამოყენება და იდეის განხორციელება.
		0	განმცხადებელს ნათლად არ აქვს ჩამოყალიბებული, გააზრებული საქმიანობა/მისი იდეა არარეალურია ან/და დაბალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის განხორციელების შესაძლებლობა.
	მდგრადობა		
5	განმცხადებლის საქმიანობის შეფასება, განხორციელების ადგილი, საშუალება; გასაღების ბაზარი;	2	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობა იქნება მდგრადი.
		1	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობა შესაძლებელია.

	პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით; საქმიანობის გაუმჯობესების/განვითარების შესაძლებლობა და სხვა	0	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობას საფრთხე ემუქრება.
	მიღებული გრანტი		
6	სააგენტოს პროგრამ(ებ)ის ფარგლებში გრანტის/სუბსიდიის მიღება	1	განმცხადებელს ან/და მისი ოჯახის წევრს არ მიუღია გრანტი/სუბსიდია სააგენტოსგან
		0	განმცხადებელს ან/და მის ოჯახის წევრს მიღებული აქვს გრანტი/სუბსიდია სააგენტოსგან

3.3. გამარჯვებული საგრანტო განაცხადების გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში, გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე საგრანტო განაცხადები, პროგრამისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

კომისია უფლებამოსილია დააკორექტიროს განმცხადებლის მოთხოვნა და გარკვეული ტექნიკა/დანადგარის შეძენაზე უარი განაცხადოს, თუ:

ა) საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიამ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი ტექნიკა/დანადგარი არ არის საჭირო საგრანტო განაცხადით წარმოდგენილი საქმიანობის განსახორციელებლად; და/ან

ბ) საგრანტო განაცხადში მოცემული ტექნიკა/დანადგარები, იმ საქმიანობის გათვალისწინებით, რომლის მხარდაჭერაც მოთხოვნილია, არ არის ურთიერთკავშირში.

კომისიის მიერ დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ეცნობება დაინტერესებულ პირს. ასევე, განმცხადებლებს გამარჯვების შესახებ ეცნობება კომუნიკაციის შესაძლო საშუალებებით.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილთა სია ქვეყნდება ვებგვერდზე www.moh.gov.ge.

საჭიროებისამებრ, დეპარტამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარები შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ვალდებული არიან წარუდგინონ დეპარტამენტს 3 ინვოისის საგრანტო კომისიის მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრულ ნივთებზე, მოდელებისა და ღირებულების მითითებით. ინვოის(ებ)ის წარმოდგენლობის შემთხვევაში,

დეპარტამენტი უფლებამოსილია საგრანტო კომისიასთან შეთანხმებით, გააუქმოს განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

საგრანტო განაცხადების გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვების საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტო უზრუნველყოფს გამარჯვებულთათვის მოთხოვნილი ნივთების შეძენას. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააგენტო განახორციელებს ნივთების შეძენას იმ მახასიათებლების მიხედვით, რომელიც აქვს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ნივთ(ებ)ს.

სააგენტო უფლებამოსილია შეიძინოს საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული ტექნიკა/დანადგარის სხვა მწარმოებლის ტექნიკა/დანადგარი, თუ მახასიათებლებისა და განმცხადებლის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისაღები იქნება განმცხადებლისთვის.

გამარჯვებულებსა და სააგენტოს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება. გამარჯვებული ვალდებულია მიღებული ქონება გამოიყენოს პროგრამის მიზნის შესაბამისად საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.

3.4. სამოქმედო გეგმა

პროგრამის ფარგლებში, საგრანტო განაცხადების მიღების, შემოწმების, განხილვისათვის და შეძენილი ტექნიკა/დანადგარების გადაცემისათვის განსაზღვრულია კონკრეტული ვადები.

საქმიანობა	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	დეკემბერი
საგრანტო განაცხადების მიღება	X	X				
საგრანტო განაცხადების შემოწმება	X	X				
დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად/ინფორმაციის დასაზუსტებლად		X				
საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა		X				
პირველადი საველე მონიტორინგი			X			

საგრანტო განაცხადების წარდგენა		X	
საგრანტო კომისიისათვის და გამარჯვებული განმცხადებლების გამოვლენა			
შესყიდვის პროცედურები		X	X
ბენეფიციარებთან ხელშეკრულების გაფორმება და გრანტის გადაცემა	საგრანტო	X	X

3.5. პროგრამის გავრცელების არეალი

პროგრამა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3.6. პროგრამის ხანგრძლივობა

სამოქმედო გეგმის თანახმად, პროგრამა ხორციელდება 2020 წელს. პროგრამის ხანგრძლივობა შეიძლება შეიცვალოს ზემოთხსენებული სამოქმედო გეგმის მიხედვით.

4. პროგრამის ბიუჯეტი

2020 წლისათვის პროგრამისათვის დადგენილი ბიუჯეტია 500 000 ლარი. დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში

5. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი 2 წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს განაცხადით მოთხოვნილი ინვესტიციის საჭიროება, განხორციელებადობა და მდგრადობა. სააგენტო მონიტორინგს განახორციელებს მხოლოდ იმ განმცხადებლებთან, ვინც გადალახავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაფინანსების შემდგომი მონიტორინგის მიზანია, შემოწმდეს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხელშეწყობის მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.

პროგრამის შეფასება განხორციელდება 2021-2022 წლებში. პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავდება სპეციალური კითხვარები, რომელთა მიხედვითაც, მოხდება პროგრამის ბენეფიციართა გამოკითხვა. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, გამოვლინდება პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში, შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამის უფრო ეფექტურად მუშაობისთვის.